უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 56

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 05/11/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 17:32 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
სხდომის თავმჯდომარე - ლევან გორდეზიანი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (**საბჭოს თავმჯდომარე**);
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი; (**საბჭოს მდივანი**);
3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
6. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
10. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;
11. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
13. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
14. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარე

_____

ხელმოწერა

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახაბერ ჭელიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
2	მედეა ჯღარკავა	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამების კოორდინატორი	I, II
3	ნინო თეზელაშვილი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	I, II
4	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II
5	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-V
6	გურამ ტყემალაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„აგრარული ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III-V
7	თეიმურაზ რუხაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„სასურსათო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III-V
8	ლალი ხუნწარია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III-V

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

9	ქეთევან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-V
10	ეკატერინე გობეჯიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი	III-V

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამარ დაუსი	„ ----------„	I, II
2	ეკა აბჟანდაძე	„ ----------„	I, II
3	ანი ბილანიშვილი	„ ----------„	I, II

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ბაკალავრი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „აგრარული ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ბაკალავრი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „აგრარული ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1. პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ბაკალავრი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საექთნო საქმე (ბაკალავრი)
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 21 ოქტომბერი; №127
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საექთნო საქმე (ბაკალავრი)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ბაკალავრი) ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913 საექთნო და სამეანო საქმე
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0905
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0177 (0186) , ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №33
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„--------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

გაიანე სიმონია, ხათუნა თოდაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

დარგის ექსპერტმა, თამარ დაუსმა აღნიშნა, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „საექთნო საქმის“ (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ - ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლები ექსპერტებს კეთილგანწყობით შეხვდნენ და ამის გამო მადლობა გადაუხადა მათ.

მისი თქმით, ექსპერტებმა შეამოწმეს უნივერსიტეტის ტექნიკური ბაზა, სიმულაციური ლაბორატორია, კლინიკის ბაზა, ასევე მოინახულეს ინტენსიური თერაპიის განყოფილება, გაესაუბრნენ ლექტორებს, სტუდენტებსა და ექთნებს, რომლებიც პრაქტიკულ სწავლებას აწარმოებენ სტუდენტებთან. ექსპერტის განმარტებით, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, მაგალითად, ლიტერატურის განახლებასთან

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

დაკავშირებით, რადგან უნივერსიტეტი ძირითადად სარგებლობს 2010 წლამდე გამოცემული ლიტერატურით, კონსპექტებითა და არასანდო ვებ-გვერდებით, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს პროტოკოლებით, რაც არ წარმოადგენს სახელმძღვანელოს და აქვს მხოლოდ გზამკვლევის სახე, რომელიც პროცესებს ძალიან ზედაპირულად ასახავს. ექსპერტის მოსაზრებით, როცა საუბარია უნივერსიტეტზე, სასურველია „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მორგებული ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნა. იგი იზიარებს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს დღევანდელ რეალობაში მარტივ პროცესს, თუმცა მისი აზრით, სასურველია ამ პროცესის წამოწყების მცდელობა.

ასევე, მან აღნიშნა, რომ „საექთნო საქმის" (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დამსაქმებელი უფრო ინტენსიურად იყო ჩართული, უფრო გამართულად იცოდა აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობა, ვიდრე ეს „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში იყო. მან გაიხსენა დამსაქმებლის შეფასება, რომ უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები ძალიან დადებითად აისახა სტუდენტის შედეგებზე, მაგალითად, საავადმყოფოში მისვლისას, სტუდენტთა გადამზადების ვადა 6 თვიდან 3 თვემდე შემცირდა, რაც დიდი პროგრესია, რადგან თანხები არ იხარჯება სამსახურში აპლიკანტის მომზადებაზე. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, სასურველია „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაშიც დამსაქმებლის ასე ინტენსიურად ჩართვა. ექსპერტის შეფასებით, გასაუბრებიდან ასევე დადგინდა, რომ კლინიკის დირექტორს გადამზადების ვადებთან დაკავშირებით არ ჰქონდა გამართული პასუხები, არადა დამსაქმებლის ინტერესი უნდა იყოს, აუხსნას უნივერსიტეტს, როგორი სტუდენტი სურს მას.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ევროდირექტივების შესრულებას. ექსპერტის თქმით, 2013 წლის დოკუმენტის თანახმად, „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და „საექთნო საქმის" (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამის ნახევარი (240 კრედიტიდან 120 კრედიტი) პრაქტიკულ მეცადინეობას უნდა ეთმობოდეს, თუმცა უნივერსიტეტში პრაქტიკულ ნაწილს 90 კრედიტი უკავია. ექსპერტის მოსაზრებით, სწავლების პროცესის კლინიკასთან ინტეგრაციას სტუდენტებისთვის პოზიტიური შედეგები მოჰყვება. ექსპერტმა ევროდირექტივის მოშველიების მიზეზად დაასახელა ის, რომ ადგილობრივ დონეზე არ არსებობს შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი/ბერკეტი, რის მიხედვითაც უნივერსიტეტზე შენიშვნა და/ან რეკომენდაცია გაიცემოდა.

შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ბებიაქალისა და პრაქტიკოსი ექთნის ჩართულობას. ექსპერტის თქმით, გასაუბრებისას, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ როდესაც უნივერსიტეტიდან დამსაქმებელთან მიდის მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრი სტუდენტი, მას ეთმობა მეტი ყურადღება. ამ მხრივ, პრაქტიკოსი ექთნების ჩართულობით კი შედეგი უფრო მარტივად მიიღწევა. ექსპერტის განმარტებით, ექთანი და ექიმი ორი სხვადასხვა პროფესიაა. სასურველია, პრაქტიკოს ექთანს უკვე მომუშავე ექთანი ასწავლიდეს, თუმცა ექთნები ნაკლებად შეიძლება ჩაითვალონ პროფესიული მასწავლებლებად და უნივერსიტეტს მათი გადამზადება დასჭირდება იმისათვის, რომ მათ შემდგომში პედაგოგობა შეძლონ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ევროდირექტივის დოკუმენტის თანახმად, ბებიაქალმა უნდა მიიღოს სულ მცირე 40 მშობიარობა, გაატაროს სულ მცირე 100 პრე-ნატალური ქალი. ეს ჩამონათვალი საგანმანათლებლო პროგრამაში არ არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივ დონეზე დარგობრივი მახასიათებლები არაა გაწერილი, თუმცა, მისი აზრით, აღნიშნული ჩამონათვალის გაწერა სასურველია მანიპულაციის სრულად ფლობის დასადასტურებლად.

ექსპერტის თქმით, პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულად შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში.

16:24 საათზე საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი შემოუერთდა სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინე კვაჭაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის და დაადასტურა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც დაშვებული იყო 2.4 ქვესტანდარტში. მან ასევე დაამატა, რომ ალბათ სავსებით საკმარისია 10 კურსდამთავრებულისათვის მითითებული ორი მოქმედი გამართული სამშობიარო სახლი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მედეა ჯღარკავამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საგანმანათლებლო პროგრამების საინტერესო განხილვისთვის. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან რჩევებს, რომელსაც მომავალში გაითვალისწინებენ. რაც შეეხება რეკომენდაციებს, კერძოდ, რეკომენდაციას ლიტერატურის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს არის ზოგადი ხასიათის პრობლემა დარგში, თუმცა მათ აქვთ: 2015, 2016, 2018 წლების სასწავლო დისციპლინების სახელმძღვანელო დოკუმენტები/გზამკვლევები, *გაიდლაინები, ჰენდაუთები,* მძლავრი საბიბლიოთეკო სერვისები და გეგმავენ მათ მოდერნიზებას. ასევე, მისი თქმით, გაცემული რეკომენდაციები ემთხვევა თვითშეფასებით გათვალისწინებულ გასაუმჯობესებელ აქტივობებს. შესაბამისად, ისინი შეეცდებიან მათ შესრულებას ნაბიჯ-ნაბიჯ. დაწესებულების წარმომადგენელმა კონსოლიდაციის პრაქტიკასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ის არის საკმაოდ დიდი მოცულობის სასწავლო კურსი, სტუდენტს პირველი კურსიდანვე საორიენტაციო კურსის სახით უწევს პროფესიის შესწავლა, იგი სამშობიარო სახლში ნახულობს არანაკლებ 40 მშობიარობას და ბებიაქალებთან ერთად მონაწილეობს პროცესში. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წელს მოწვეულ იქნა პრაქტიკოსი ბებიაქალი, რომელსაც მიჰყავს საორიენტაციო კურსი. იგი დაეთანხმა ექსპერტს და თავადაც აღნიშნა, რომ ბებიაქალი უკეთ შეძლებს შეასწავლოს სტუდენტს მისი პროფესია.

16:32 საათზე საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე შემოუერთდა სხდომას.

ექსპერტის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები პირველივე კურსიდან შედიან სამშობიაროში, ბევრმა სტუდენტმა აღარ ისარგებლა მობილობის შესაძლებლობით.

დისკუსია

საბჭოს წევრი ნატო გენგიური დაინტერესდა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში და რამდენი სტუდენტი ხდება კურსდამთავრებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი მიღების კონტინგენტი არის პატარა, დაახლოებით 10 სტუდენტი და ერთჯერადად, 4 წლის განმავლობაში, კურსდამთავრებულების რაოდენობაც არის 10.

საბჭოს თავჯდომარე ლიტერატურის რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა, რამდენად შეიძლებოდა მისი შესრულება უმოკლეს ვადაში, რადგან სტუდენტები ამჟამად სწავლობენ დისციპლინებს.

16:38 საათზე ნინო ლიპარტია შემოუერთდა სხდომას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა ჭელიძემ აღნიშნა, რომ მას შეეძლო ამ კითხვაზე გაეცა პასუხი, რადგან „ბებიაქალისა“ და „ექთნის“ საგანმანათლებლო პროგრამები ამ მხრივ მსგავსია და განსხვავება არსებობს მხოლოდ დასაქმების კუთხით. მან განმარტა, რომ ლიტერატურის პრობლემა არის მუდმივი პრობლემა. მათ შეუძლიათ შექმნან ახალი ლიტერატურა, მაგრამ ამ დროსაც უნდა გაითვალისწინონ ის კომპეტენციები და თეორიული ცოდნა, რომელიც ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე, უმჯობესია აღნიშნული ლიტერატურის თარგმნა და ადაპტირება, თუმცა თითოეული დაწესებულება, რომელსაც აქვს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა, ცდილობს გასაღების მიზნით შექმნას თავისი სახელმძღვანელო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს პრობლემა იქამდე იქნება აქტიური, სანამ მიღებული არ იქნება ადგილობრივი დარგობრივი კომპეტენციები. თუ არ იქნება ინფორმაცია, რა

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

კომპეტენციებსა და თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნას უნდა ფლობდეს ექთანი, წიგნის გაყიდვაც კი ვერ მოხდება. ასევე, მისი განმარტებით, ამ მხრივ ინფრასტრუქტურამ საგრძნობლად გაუსწრო განათლების სფეროს, ხოლო 50 – 50-ზე პრინციპი (თეორია - პრაქტიკა) ეხება ისეთ ქვეყნებს, სადაც ცალკეული კლინიკური და განათლების სფეროები ცენტრალიზებულია და არსებობს რეგისტრირებულ ექთანთა რეესტრი, გაწერილია თეორიული, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები. იგი, როგორც ერთ-ერთი დამსაქმებელი, აღნიშნავს რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება მარტივია, მანიპულაციების ათვისება 2 თვეში შეუძლია ყველა მენტალურად და ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს. მისი თქმით, დღეს ექთნის პრობლემა უფრო თეორიულია და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დეფიციტი და ფაქტი, რომ სამედიცინო უბედური შემთხვევების დროს ავტომატურად დამნაშავედ ითვლება ის, ვისაც თეთრი ხალათი აცვია.

ბოლო კომენტართან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ უბედური შემთხვევის დროს ექთნის ბრალი არის მხოლოდ პრეზუმირებული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, გაიხსენა ერთ-ერთ შეხვედრაზე გაკეთებული კომენტარი, რომ საექიმო შეცდომა გამიჯნული უნდა იყოს დანაშაულისგან.

16:41 საათზე საბჭოს წევრი, თეა მჭედლური შემოუერთდა სხდომას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „საექთნო“ და „ბებიაქალის“ საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან არის დაფუძნებული, ხდება მოდერნიზება, თუმცა აღნიშნული პრობლემები კიდევ არსებობს.

საბჭოს თავჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს მიერ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის მიყოლებით განხილვის შესახებ, რადგან ორივე საკითხზე ერთი და იგივე ექსპერტები და ერთი და იმავე დაწესებულების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სხდომაზე. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შუამდგომლობას და გადაწყდა მეორე საკითხის განხილვა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10]	საექთნო საქმე (ექთანი)
2	სტატუსი[11]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 21 ოქტომბერი; №126
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12]	საექთნო საქმის (ექთანი)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[13]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[14]	მეექვსე

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

7	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი) ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913 საექთნო და სამეანო საქმე
10	კვალიფიკაციის კოდი[16]	0905
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[17]	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №33
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„-------„

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

გაიანე სიმონია, ხათუნა თოდაძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

---

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, თამარ დაუსმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები „საექთნო საქმის" (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც მსგავსია. ექსპერტებმა დაწესებულებაში ვიზიტი 2019 წლის 26 აგვისტოს განახორციელეს. მისი განმარტებით, თეორიულ სწავლებასთან დაკავშირებით, სასურველია ლექტორების კავშირი მემკვიდრულ დისციპლინებთან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დარგობრივი მახასიათებლები, გამოკვეთილი არ არის კომპეტენციები და არ იციან თუ როგორ უნდა დაასაქმონ ბაკალავრის სტუდენტი. მისი თქმით, სასურველია პროფესიულ სტუდენტსა და უნივერსიტეტის სტუდენტს შორის იყოს განსხვავება. ექსპერტის შეფასებით, სტუდენტთან გასაუბრებით აღნიშნული სხვაობა მან ვერ იგრძნო. ექსპერტს ესმის, რომ დარგობრივი მახასიათებლების გარეშე უნივერსიტეტი ამ პრობლემას ვერ მოერევა. დამსაქმებელსა და ბაზისური საგნების ლექტორს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კავშირი, რათა იცოდნენ თუ როგორი ექთანი სჭირდება დამსაქმებელს, რა ცოდნა უნდა დააგროვოს მან, რომ შემდგომში გააგრძელოს სწავლა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

ექსპერტის თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტმა სრულად მისცეს რაიმე სახის ინფორმაცია, მათ ჰკითხეს სტუდენტს თუ სად ეძებს ის შეკითხვის არსებობის შემთხვევაში მათზე პასუხებს, რაზეც პასუხი იყო არაავთენტური და არასარწმუნო წყარო, როგორიცაა მაგალითად, Wikipedia (ვიკიპედია), სადაც სტატიების შექმნა ყველას შეუძლია. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, სასურველია ინფორმაციის მოძიების კომპონენტის გაშლა.

ექსპერტი ასევე შეეხო უცხო ენებს. მან დადებითად შეაფასა გერმანული ენის დამატება, უცხო ენის კომპონენტის გაზრდა, თუმცა მისთვის გაუგებარი იყო დამსაქმებლის პოზიცია, ხომ არ ელოდებოდა ის სტუდენტებში ინგლისური ენის კომპეტენციას.

საბჭოს თავჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა თუ ვინ იყვნენ დამსაქმებლები, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დამსაქმებლები არიან საავადმყოფოები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურამ გაასწრო საექთნო განათლებას და საავადმყოფოებს ჰყავთ ბევრი უცხოელი პარტნიორი. შესაბამისად, ის ფიქრობს, რომ სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიზნით, დამსაქმებლებს აინტერესებთ სტუდენტები რუსული და ინგლისური ენების კომპეტენციით.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ კლინიკურ და ბაზისურ საგნებს შორის კავშირის გაძლიერების შესახებ რეკომენდაციას, ცდილობენ მათ ინტეგრაციას, აღნიშნული სასწავლო წლიდან კი ყველა სასწავლო დეპარტამენტმა უზრუნველყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სასწავლო გეგმების, პრაქტიკუმების, საკონსულტაციო განრიგების, სტუდენტების შეფასების კრიტერიუმების, ასათვისებელი პრაქტიკული უნარების განთავსება შესაბამისი სასწავლო დისციპლინების მიხედვით, რათა მოხდეს კლინიკური და ბაზისური საგნების ინტეგრაცია. მისი თქმით, იგეგმება კლინიკური და ბაზისური დეპარტამენტების შეხვედრები, საკითხების შეჯერება და სილაბუსებში მათი ჩამოყალიბება.

რაც შეეხება უცხო ენას, დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს და თქვა, რომ აღნიშნული კავშირებიდან გამომდინარე ალბათ უფრო მოთხოვნადია ინგლისური ენა. თუმცა, გერმანული ენის კომპეტენციის ზრდა განაპირობა ქართულ-ავსტრიულმა პროგრამამ, რადგან მეორე კურსის ბოლოს, სტუდენტის 2 თვით ავსტრიის ინსტიტუტის საუნივერსიტეტო კლინიკაში წასაყვანად, მათ აქვთ მოთხოვნა, რომ სტუდენტმა იცოდეს გერმანული ენა. მან ასევე დაამატა, რომ სურვილის შემთხვევაში ინგლისურ ენასაც სთავაზობენ სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:52 სთ
დამთავრების დრო: 16:55 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19]	საექთნო საქმე (ბებიაქალი)
2	სტატუსი[20]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 21 ოქტომბერი; №127
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21]	საექთნო საქმე (ბებიაქალი)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[22]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[23]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ბებიაქალი) ბაკალავრი

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913 საექთნო და სამეანო საქმე
10	კვალიფიკაციის კოდი[25]	0905
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[26]	საქართველო 0177 (0186) , ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №33
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„--------„

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის

---

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28]	საექთნო საქმე (ექთანი)
2	სტატუსი[29]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 21 ოქტომბერი; №126
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30]	საექთნო საქმის (ექთანი)
5	უმაღლესი განათლების საფეხური[31]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[32]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი) ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33]	„---------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913 საექთნო და სამეანო საქმე
10	კვალიფიკაციის კოდი[34]	0905
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[35]	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №33
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„---------„
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36]	„---------„
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„-------„

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „აგრარული ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37]	აგრარული ტექნოლოგიები
2	სტატუსი[38]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 26 თებერვალი; №52
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39]	„----------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[40]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[41]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი აგრონომიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
10	კვალიფიკაციის კოდი[43]	0101
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[44]	საქართველო 0192, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №17, კორპ. №11
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 25 თებერვალი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვემდე (2019 წლის 26 აგვისტომდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 25 თებერვალი

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

ქეთევან ქოქრაშვილი, სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება დაეკისრა ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა მათ მიერ „აგრარული ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა, აგრარული ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ნინო ლომიძემ, აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულდა, გათვალისწინებული იქნა რჩევები და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული შესწორებები.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო არჩევით სასწავლო კურსებში სილაბუსების დამატება, რაც გაამრავალფეროვნებდა საგანმანათლებლო პროგრამას. მათ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინეს.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაში გარკვეული დამატებების განხორციელებას. მათ მიუთითეს დოქტორანტურის დებულებაზე, ჩარიცხვის წინაპირობებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, განახლებული ინფორმაცია კი ვებ-გვერდზე აიტვირთა.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „აგრარული ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „აგრარული ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46]	სასურსათო ტექნოლოგია
2	სტატუსი[47]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 26 თებერვალი; №51
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48]	„----------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[49]	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე[50]	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
10	კვალიფიკაციის კოდი[52]	0104
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი[53]	საქართველო 0192, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №17, კორპ. №11
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 25 თებერვალი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვემდე (2019 წლის 26 აგვისტომდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 25 თებერვალი

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

ქეთევან ქოქრაშვილი, სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება დაეკისრა ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა მათ მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ „სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზეც გაიცა ანალოგიური რეკომენდაციები, რაც „აგრარული ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე. რეკომენდაციები ეხებოდა საგნების გამრავალფეროვნებას და უცხო ენის კომპეტენციის დონის განსაზღვრას. მისი თქმით, ამ შემთხვევაშიც გაითვალისწინეს და შეასრულეს ყველა რეკომენდაცია თუ რჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55]	საინჟინრო მენეჯმენტი

[55] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

2	სტატუსი[56]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 14 თებერვალი; №45
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57]	„----------„
5	უმაღლესი განათლების საფეხური[58]	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე[59]	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60]	„----------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
10	კვალიფიკაციის კოდი[61]	0203
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[62]	საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა №77, კორპ. №8
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 10 იანვარი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვემდე (2019 წლის 11 ივლისამდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 12 იანვარი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

ქეთევან ქოქრაშვილი, სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან.

---

[56] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[57] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[58] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[59] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[60] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[61] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[62] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[63] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება დაეკისრა ლევან გორდეზიანს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა მათ მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესრულებული ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა ჩატარებული სამუშაოების შესახებ, რომელიც განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. მისი განმარტებით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას და პრობლემებს, რომლებიც ექმნებოდათ იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც მისაღებ გამოცდაზე მათემატიკა არ ჩაუბარებიათ. ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მიიღო პრე-კალკულუსის სასწავლო კურსის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილება, რაც ფაკულტატურის სახით არის ცხრილში გათვალისწინებული და ყველა იმ სტუდენტს, რომელსაც აქვს აღნიშნული პრობლემა, უკვე აქვს ასევე შესაძლებლობა, გაიაროს შესაბამისი სასწავლო კურსი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რამდენიმე სასწავლო კურსში იყო შინაარსობრივი გადაფარვა, რასთან დაკავშირებითაც გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია. ინჟინერიის მენეჯმენტში, საწარმოო და ოპერაციულ მენეჯმენტში გაიმიჯნა სწავლების მეთოდები, ლაბორატორიული სამუშაო დარჩა ერთ სასწავლო კურსში, ხოლო მეორე სასწავლო კურში დაემატა შემთხვევის განხილვა, ასევე შეიცვალა სილაბუსები. მისი თქმით, გადაფარვა იყო „საპროექტო სამუშაოთა დაგეგმვისა და მიმდინარეობის" სასწავლო კურსსა და „პროექტების მენეჯმენტის" სასწავლო კურსში. შესაბამისად, პირველი სასწავლო კურსი ამოღებულია საგანმანათლებლო პროგრამიდან და მის მაგივრად სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია „სამეწარმეო სამართლის საფუძვლები".

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდირებული იყო სავალდებულო დისციპლინების მოდულში ყოფილიყო „ბიზნესის სტატისტიკა", „ფინანსური აღრიცხვა" და „ბიზნესის სამართლებრივი საკითხები". მისი თქმით, „გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მეთოდებიდან" ამოღებულია სტატისტიკური ნაწილი, შესაბამისად, შემცირდა მისი კრედიტები, შეიქმნა ახალი სასწავლო კურსი „გამოყენებითი სტატისტიკა". ასევე, დაემატა ფინანსური აღრიცხვის საკითხების, რის შედეგადაც გაიზარდა კრედიტები.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ეკონომიკის საფუძვლების ორ ნაწილად გაყოფას, რაც გათვალისწინებულ იქნა და ის გაიყო „ეკონომიკის საფუძვლები 1" და „ეკონომიკის საფუძვლები 2" ნაწილებად (მაკრო და მიკრო-ეკონომიკის საკითხები), მოხდა აკადემიური წერის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადატანა მასალათმცოდნეობის სასწავლო კურსის მაგივრად, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭებისთვის არ იყო აუცილებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა სასწავლო კურსების გამსხვილებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ საინჟინრო მათემატიკა - 1, 2 და 3 ჩამოყალიბდა ერთ სასწავლო კურსად (ასევე მოხდა ფიზიკის შემთხვევაშიც). ის დანაწილებულია სამ ნაწილად და თითოეული ნაწილი შემდეგის წინაპირობაა, საათებისა და კრედიტების რაოდენობა კი იგივე დარჩა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უცხო ენების გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ იმსჯელეს ფაკულტეტის საბჭოზე და დაიწყეს მუშაობა პრეკალკულუსის ტიპის სასწავლო კურსის

შემუშავებაზე. ეს იქნება ფაკულტატური სასწავლო კურსი იმ სტუდენტებისათვის, ვისთვისაც ის საჭირო გახდება.

ასევე, მისი თქმით, რეკომენდირებული იყო საბაკალავრო ნაშრომზე და „მენეჯერული ეკონომიკის“ სასწავლო კურსზე დაზუსტებულიყო დაშვების წინაპირობა, რაც გაითვალისწინეს და „მენეჯერული ეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა „ეკონომიკის საფუძვლები 2“ და „მენეჯმენტის საფუძვლები“, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად - 195 კრედიტი (ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები). დაზუსტდა სასწავლო კურსების სახელწოდებებიც, როგორც - „მეწარმეობის საფუძვლები“ და „სტრატეგიული მენეჯმენტი“. აკადემიური საბჭოს დადგენილებით, საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესში 31 ივლისს შეიცვალა ჩანაწერი და აღინიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა დანართების გარეშე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 გვერდს.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია მიმდინარე პროგრამების შესახებ (Erasmus-ის გაცვლითი პროგრამები). კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით კი თქვა, რომ ორმა პროფესორმა ამერიკაში მივლინებით, სიმპოზიუმსა და სამუშაო შეხვდრაზე გაიარეს სან დიეგოს უნივერსიტეტის პროგრამა და აიმაღლეს კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ პროცესში ჩართული იყო მთლიანად უნივერსიტეტი, მათ მიერ გათვალისწინებული იყო რჩევებიც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საინჟინრო მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე **ქეთევან ქოქრაშვილი**

სხდომის თავმჯდომარე **ლევან გორდეზიანი**

საბჭოს მდივანი **ნინო ლიპარტია**